თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3254772

ნომერი: AR1500013

თარიღი : 01.05.2017

გაცემის თარიღი : 17.05.2017

გაცნობის თარიღი : 17.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნინოშვილი , N 69 , (ნაკვეთი N3/22) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავითი ჭელიძე პ/ნ 01030032131
- თბილისი ე.ნინოშვილის ქ. N 71

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1500013 ელექტრონული განაცხადი ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. #69-ში (ს/კ #01.16.01.003.022) მშენებლობასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 16 აგვისტოს #2781264 ბრძანებით ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. #69-ში, #01.

16.01.003.022 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისათვის დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

2016 წლის 26 სწქტემბრის #2855629 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 16.08.2016 წ. #2781264 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: გაუქმდა მიწის ნაკვეთის უკანა ეზოსთვის დასმული განაშენიანების რეგულირების ხაზები და დაემატა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმი N45 (01.09.2016 წ.), ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომის ოქმი.

2016 წლის 22 დეკემბრის #3011404 ბრძანებით ქ. თბილისში (სექტორი –ჩუღურეთი), ნინოშვილის ქ. #69-ში (ნაკვეთი N3/22) სს "შოდა"ის საკუთრების მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა არსებული #04/1 და #03/1 შენობების დემონტაჟისა და მის ნაცვლად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის - ბლოკი "ბ" - განთავსების არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

2017 წლის 05 იანვრის #3015053 ბრძანებით ქ. თბილისში (სექტორი –ჩუღურეთი), ნინოშვილის ქ. #69-ში (ნაკვეთი N3/22) სს "შოდა"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა განთავსებული შენობის რეკონსტრუქციის (საოფისე ბლოკი "ა") არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

2017 წლის 06 იანვრის #3035563 ბრძანებით ქ. თბილისში (სექტორი –ჩუღურეთი), ნინოშვილის ქ. #69-ში (ნაკვეთი N3/22) სს "შოდა"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა განთავსებული #02/1 და #06/1 შენობის დემონტაჟისა და მის ნაცვლად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის - ბლოკი "გ" - განთავსების არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

2017 წლის 25 აპრილს #AR1498230, #AR1498233 და #AR1498236 ელექტრონული განცხადებებით სამსახურს მომართა მოქალაქე ზურაბ აბზიანიძემ და მოითხოვა #3011404, #3035563 და #3015053 ბრძანებებში ცვლილებების შეტანა, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7) დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2017 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.